

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (GPB) და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB) ერთობლივი პროექტის ,, გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის", რომლის მხარდამჭერია აშშ-ს საელჩო საქართველოში, აცხადებს კონკურსს ქართულიდან აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე სინქრონული თარგმანის სპეციალისტთა გამოსავლენად.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ფლობდეს ქართულ და აზერბაიჯანულ ან ქართულ და სომხურ ენებს იმგვარად, რომ შეძლოს საინფორმაციო პროგრამების პარალელური, სინქრონული თარგმანი.

კონკურსის შედეგად დაგეგმილია 4 გამარჯვებულის გამოვლენა, რომელთაგანაც 2 დღეგამოშვებით იმუშავებს მთავარი საინფორმაციო პროგრამ(ებ)ის აზერბაიჯანულ სინქრონულ და 2 -იც სომხურ სინქრონულ თარგმანზე.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება, CV -ის განხილვის შედეგად მოხდება მხოლოდ მეორე ეტაპისთვის შერჩეულ კანდიდატებთან დაკავშირება.

მეორე ეტაპზე განხორციელდება საცდელი თარგმანები.

დაინტერესებულმა პირებმა 12 ივნისამდე უნდა გამოგზანონ CV და სამოტივაციო წერილი ელექტრონულ მისამართზე : info@garb.ge და სასათაურე ველში მიუთითონ - თარჯიმანთა კონკურსი.